



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართი N8 - მობილ ბანკი

1. **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ინფორმაცია, შეასრულოს **გადახდები** და მართოს **ანგარიშები**.
2. იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **მობილ ბანკით** იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
3. **მობილ ბანკის** აპლიკაციის (დასახელებით: BOG mBank - Mobile Banking) ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
4. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, **მობილ ბანკის** გასააქტიურებლად მან **მობილ ბანკის** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, და დამატებით დაადასტუროს **მობილ ბანკის** აქტივაცია **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას, რომელსაც **კლიენტი** მიიღებს **ფინანსურ ნომერზე** ან/და **ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე**. თუ **კლიენტი** სარგებლობს **Digipass**-ით, შესაძლებელია **Digipass**-ით დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც.
5. **მობილ ბანკში** ნებისმიერ **კლიენტს** **ავტორიზაციის** გარეშე საშუალება აქვს:
 - 5.1. დაუკავშირდეს **ტელეფონ ბანკს**;
 - 5.2. მიიღოს ინფორმაცია:
 - 5.2.1. **ბანკომატების**, სერვისცენტრების ან/და **თვითმომსახურების ტერმინალების** შესახებ, მათ შორის მოძებნოს უახლოესი **ბანკომატი**, **სერვისცენტრი** ან/და **თვითმომსახურების ტერმინალი**;
 - 5.2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ;
 - 5.3. განახორციელოს გადახდები, გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდებისა, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსებისა, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ლიცენზირებული კომერციული ბანკ(ებ)ის მიერ ემიტირებული ბარათ(ებ)ის გამოყენებით, ამასთან, გადახდების განხორციელებისას **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში გადახდები განხორციელდება **ძლიერი ავთენტიფიკაციით**;
 - 5.4. შექმნას გადახდების/**გადარიცხვების** შაბლონები (მათ შორის თემატური შაბლონები, მაგ. „ჩემი სახლი“, „ჩემი მანქანა“ და სხვ.);
 - 5.5. დაიმახსოვროს/შეინახოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**;
 - 5.6. გააზიაროს გადახდის ქვითარი;
 - 5.7. დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**;
 - 5.8. გაგზავნოს მეილი **ბანკში**.
 - 5.9. გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია**.
6. წინამდებარე **დანართის მე-5 პუნქტში** მოცემულის გარდა, **მობილ ბანკში** მხოლოდ **ძლიერი ავთენტიფიკაციით** **ავტორიზებულ კლიენტს** საშუალება აქვს:
 - 6.1. აღადგინოს/შეცვალოს **მომხმარებლის სახელი** ან/და **პაროლი**,
 - 6.2. დამატებით ისარგებლოს:
 - 6.2.1. პას კოდით ან/და თითის ანაბეჭდით **ავტორიზაციით**;



- 6.2.2. სახის ამოცნობის (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით) **ავტორიზაციით.**
- 6.3. მიიღოს ინფორმაცია:
 - 6.3.1. **ანგარიშებზე, კრედიტებზე, საკრედიტო ბარათებსა და ანაზრებზე (დეპოზიტებზე);**
 - 6.3.2. დაგროვების პროგრამების შესახებ (PLUS ქულები, MR ქულები, sCool-ები, **ელექტრონული ყულაბა**);
 - 6.3.3. უახლოესი გადასახდელების შესახებ (კრედიტი, საკრედიტო ბარათი, **საკომისიო, კომუნალური გადახდები**);
 - 6.3.4. **ბანკის** შეთავაზებების შესახებ, მათ შორის **ბანკში** მიმდინარე აქციების შესახებ;
- 6.4. გადაიხადოს კომუნალური და სხვა სახის გადასახადები;
- 6.5. **მიმღებს** მისი სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
- 6.6. შეასრულოს **გადარიცხვის ოპერაციები**, მათ შორის, **გადარიცხოს ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხა ან უარი თქვას **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის **გადარიცხვაზე**;
- 6.7. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი შაბლონები;
- 6.8. შეასრულოს **კონვერტაცია მობილ ბანკის** კურსით;
- 6.9. გააფავორიტოს **ანგარიში ან/და ბარათი ან/და არ გამოაჩინოს ანგარიშები**;
- 6.10. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათები**;
- 6.11. გაააქტიუროს/გამორთოს **ბარათის დაცვის მომსახურება ან/და ბარათის 3D უსაფრთხოება**;
- 6.12. გააზიაროს **ანგარიშის** ნომერი;
- 6.13. ჩამოტვირთოს/გააზიაროს გადახდის ქვითარი ან/და **საგადახდო დავალება**;
- 6.14. მოძებნოს სასურველი მოდული ან/და ინფორმაცია მის მიერ შესრულებულ **ოპერაციებთან** დაკავშირებით;
- 6.15. გაააქტიუროს/გამორთოს **ელექტრონული ყულაბა**;
- 6.16. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **ავტომატური გადახდების ან/და მუდმივი საგადახდო დავალება**;
- 6.17. ჩაერთოს ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში (მხოლოდ SOLO კლიენტებისათვის);
- 6.18. PLUS ქულები გადაცვალოს მომსახურებაში/შეიძინოს საჩუქარი;
- 6.19. PLUS ქულები გადარიცხოს;
- 6.20. მოიწვიოს **მესამე პირი** ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში;
- 6.21. შეიძინოს MR ქულებით ვაუჩერი;
- 6.22. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **მობილ ბანკის** აპლიკაციის შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია; ამ პუნქტის მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი 6** (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობილ ბანკის** აპლიკაციით;
- 6.23. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **SMS ბანკი**;
- 6.24. შეცვალოს/დაამატოს **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, **ფინანსური ნომერი** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტა**;
- 6.25. გახსნას/დაარღვიოს ანაზარი (დეპოზიტი);



- 6.26. შეუკვეთოს სადებეტო ბარათი, მათ შორის ციფრული ბარათი, აგრეთვე განახორციელოს სადებეტო ბარათის შეკვეთა ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში;
- 6.27. გააქტიუროს ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში შეკვეთილი სადებეტო ბარათი;
- 6.28. გამოაჩინოს ბარათის, მათ შორის ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- 6.29. შეასრულოს QR გადახდები ამ დანართის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- 6.30. გააქტიუროს ბანკის მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) კრედიტ(ებ)ი (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტი) ან/და ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი კრედიტი, ასევე, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები კრედიტ(ებ)ის ხელშეკრულებაში(ებში), ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;
- 6.31. მოახდინოს ბანკის მიერ განსაზღვრული ტიპის ანაბრზე (დეპოზიტზე) თანხის დამატება;
- 6.32. დაფაროს ბანკის მიერ განსაზღვრული ტიპის კრედიტი სრულად ან ნაწილობრივ;
- 6.33. მიანიჭოს/გაუქმოს სანდო მოწყობილობის სტატუსი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილურ მოწყობილობას;
- 6.34. დაამატოს ბანკის მიერ განსაზღვრული ბარათ(ებ)ი Wallet-ის აპლიკაციაში(ებში);
- 6.35. მიიღოს ფულადი გზავნილი;
- 6.36. ჩატის მეშვეობით, მიმართოს ბანკს და მოითხოვოს მისი დაფიქსირება ბანკის სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
- 6.37. გააქტიუროს SOLO ანგარიშთა პაკეტი და იმეილ ბანკი;
- 6.38. ბარათის მეშვეობით განახორციელოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსება;
- 6.39. მესამე პირისაგან მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა/გააუქმოს მოთხოვნა/ჩათვალოს მოთხოვნა მიღებულად.
- 6.40. დააინიციროს ავტომატური რევერსალის პროცედურა მომენტალური განვადების ფარგლებში კლიენტის მიერ გააქტიურებული შესაბამისი კრედიტ(ებ)ის გაუქმების მიზნით, ბანკის მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 7. კლიენტს, რომელიც წარმატებით გაივლის ონლაინ იდენტიფიკაციას ან ფლობს ბანკის ბარათ(ებ)ს, შესაძლებლობა აქვს მობილ ბანკით დარეგისტრირდეს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში. ონლაინ იდენტიფიკაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს; ხოლო, ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე რეგისტრაციისას, კლიენტი უთითებს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ს რის შემდეგაც უნდა მიუთითოს ერთჯერადი კოდი, რომელსაც მიიღებს ფინანსურ ნომერზე. ერთჯერადი კოდის წარმატებით მითითების შემდეგ, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს ორჯერ.
- 8. მობილ ბანკით პაროლის აღსადგენად კლიენტმა უნდა გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია და მიუთითოს ერთჯერადი კოდი, ან შესაბამის ფორმაში მიუთითოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი და ერთჯერადი კოდი. კლიენტი ერთჯერად კოდს მიიღებს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე ან/და ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე. ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე პაროლის აღდგენის შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული



ერთჯერადი კოდის გამოყენებაც. ამასთან, პაროლის აღსადგენად, ერთჯერადი კოდის შეყვანამდე კლიენტი შესაბამის ველში, ბანკის შეხედულებისამებრ უთითებს ფინანსურ ნომერს ან ფინანსურ ელექტრონულ ფოსტას.

9. მხოლოდ პას კოდით ავტორიზაციის გასააქტიურებლად, კლიენტის სარგებლობაში არსებულ მობილურ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს მიაწიებული სანდო მოწყობილობის სტატუსი, კლიენტმა უნა გაიაროს ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია და შემდეგ აირჩიოს პას კოდით ავტორიზაცია, შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს ის ძლიერი ავთენტიფიკაციით. ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდით ავტორიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
10. კლიენტს, რომელიც ფლობს მობილურ ტელეფონს და რომელსაც გააჩნია თითის ანაბეჭდის სკანერი ან სახის ამომცნობი (face ID), მობილ ბანკში ავტორიზაციისათვის შეუძლია პას კოდით ავტორიზაციასთან ერთად გამოიყენოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) ავტორიზაციის მეთოდიც. ამისათვის კლიენტმა უნდა აირჩიოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) და დაადასტუროს ძლიერი ავთენტიფიკაციით.
11. მობილ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის ან/და პას კოდის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში მობილ ბანკი დაიბლოკება 30 წუთით.
12. ძლიერ ავთენტიფიკაციას საჭიროებს შემდეგი ოპერაციები:
 - 12.1. გადარიცხვა მესამე პირთან, მათ შორის, ბანკის სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის გადარიცხვა, ან/და ბიუჯეტში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ბანკის მიერ გადარიცხვის ოპერაციის ძლიერი ავთენტიფიკაციით შესრულება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა სრულდება ისეთ მიმღების სასარგებლოდ, რომელსაც კლიენტის მიერ მინიჭებული აქვს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
 - 12.2. სანდო ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება მიმღებისთვის;
 - 12.3. გამოიყენოს ინტერნეტ ბანკში შექმნილი შაბლონები;
 - 12.4. ციფრული ბარათის შეკვეთა ან/და ბარათის განბლოკვა;
 - 12.5. ბარათის ადგილზე მითანის მომსახურების ფარგლებში შეკვეთილი სადებეტო ბარათის აქტივაცია;
 - 12.6. ბარათის, მათ შორის ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოჩენა;
 - 12.7. მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის შეცვლა/აღდგენა;
 - 12.8. ანაბრის (დეპოზიტის) დარღვევა ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;
 - 12.9. ავტომატური გადახდების ან/და მუდმივი საგადახდო დავალების გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;
 - 12.10. ელექტრონული ყულაბის გააქტიურება/გამორთვა ან/და ბარათის 3D უსაფრთხოების გამორთვა;
 - 12.11. PUSH ნოტიფიკაციების გამორთვა;
 - 12.12. SMS ბანკის გამორთვა;
 - 12.13. ბანკში დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაციის, მათ შორის მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის, ფინანსური ნომრის და ფინანსური ელექტრონული ფოსტის ცვლილება/დამატება;
 - 12.14. ბანკის მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) კრედიტ(ებ)ის (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ის, ოვერდრაფტი) გააქტიურება, ასევე, ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა კრედიტ(ებ)ის ხელშეკრულებაში(ებში).
 - 12.15. ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი კრედიტის გააქტიურება ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;



- 12.16. **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ის** Wallet-ის აპლიკაციაში(ებში) დამატება;
- 12.17. ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში ჩართვა;
- 12.18. PLUS ქულები გადარიცხვა;
- 12.19. **ბარათის** მეშვეობით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსება;
- 12.20. მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მობილური მოწყობილობისათვის სანდო მოწყობილობის სტატუსი მინიჭება.
- 13. იმ შემთხვევაში თუ **ავტორიზაციის** შემდეგ **მობილ ბანკში** უმოქმედოდ იქნება 5 წუთის განმავლობაში, **მობილ ბანკი** ავტომატურად დაიხურება და მისი ხელახალი გამოყენებისათვის (გარდა **ბარათით** გადახდისა) **კლიენტმა** უნდა გაიაროს **ავტორიზაცია** ხელახლა.
- 14. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტთან** შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს **ავტორიზაციის** ან/და **ოპერაციის** შესრულების მეთოდი, მათ შორის შეცვალოს იმ **ოპერაციების** ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს **ძლიერ ავთენტიფიკაციას**. ამასთან, თუ **ბანკის** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **ძლიერ ავთენტიფიკაციას** არ საჭიროებს ისეთი **მესამე პირის** სასარგებლოდ განხორციელებული **გადარიცხვა/გადახდა**, რომლის თანხა არ აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს და ამასთან **კლიენტის** მიერ ბოლოს **ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულებული **გადარიცხვიდან/გადახდიდან** მიმდინარე **გადარიცხვის/გადახდის** თანხის ჩათვლით **გადარიცხვის/გადახდის** ჯამური თანხა არ აღემატება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს ან **კლიენტის** მიერ ბოლოს **ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულებული **გადარიცხვის/გადახდის** შემდგომ **კლიენტის** მიერ მიმდევრობით შესრულებული **გადარიცხვის/გადახდის** რაოდენობა არ აღემატება ხუთს.
- 15. **QR გადახდა** წარმოადგენს **ბანკის** მიერ შემუშავებულ გადახდის ერთ-ერთ მეთოდს, კერძოდ:
 - 15.1. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტი** უნდა სარგებლობდეს **მობილ ბანკით** (ფოტო/ვიდეო კამერით აღჭურვილი მობილური ტელეფონით) და ფლობდეს აქტიურ **ანგარიშს**, რომელთანაც დაკავშირებულია აქტიური სადებეტო ან/და საკრედიტო **ბარათი** (**ბარათი** არ უნდა იყოს დაბლოკილი, ვადაგასული ან/და სხვა რაიმე ფორმით შეზღუდული გამოყენებისთვის).
 - 15.2. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **მობილ ბანკში**, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. **QR გადახდის** შესრულებამდე საჭიროა მოხდეს **QR კოდის** წაკითხვა/სკანირება მობილური ტელეფონის ფოტო/ვიდეო კამერის მიახლოების გზით.
 - 15.3. **QR გადახდის** შესრულების მიზნით **კლიენტი**:
 - 15.1.1. ირჩევს **საბარათე ანგარიშს**, საიდანაც სურს გადახდის შესრულება.
 - 15.1.2. **მობილ ბანკში** შეჰყავს გადასარიცხი თანხის ოდენობა და ადასტურებს **ოპერაციას** შესაბამისი დილაკით.
 - 15.2. იმისათვის, რომ შესრულდეს **QR გადახდა კლიენტის ანგარიშზე** უნდა იყოს **ოპერაციისათვის** საკმარისი თანხა და **ანგარიშზე** არ უნდა ვრცელდებოდეს რაიმე სახის შეზღუდვები (მათ შორის საჯარო სამართლებრივი).
 - 15.3. **კლიენტის** მიერ **ოპერაციის** დადასტურების შემდეგ შესაბამისი თანხა გადარიცხება მიმღების ანგარიშზე.
 - 15.4. **კლიენტი** უფლებამოსილია **QR გადახდა** განხორციელოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში თუ **ანგარიშზე** რიცხვული თანხა უცხოურ ვალუტაშია **QR გადახდის** ინიცირების შემთხვევაში, განხორციელდება თანხის კონვერტაცია გადახდის დღეს **ბანკში** დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.



- 15.5. **კლიენტი** უფლებამოსილია **მიმღების** თანხმობის შემთხვევაში, **მობილ ბანკიდან** მოახდინოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ინიცირება. ამისათვის **კლიენტმა** უნდა უზრუნველყოს შესაბამის ველში თანხის უკან დაბრუნებისთვის აუცილებელი **ერთჯერადი კოდის** შეყვანა, რომელიც **ბანკის** მიერ გაეგზავნება **მიმღებს**.
- 15.6. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია **ოპერაციის** განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 15.7. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ თანხის დაბრუნების ინიცირების მომენტისთვის **მიმღების, ბანკში** არსებული ანგარიში აქტიურია და **მიმღების** ანგარიშზე არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სამართლებრივი).
- 15.8. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის ინიცირებიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში.
16. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მის მიერ **მესამე პირისაგან** თანხის ჩარიცხვის მოთხოვნისთანავე **მესამე პირს** მიეწოდება შემდეგი მონაცემები: **კლიენტის** სახელი და გვარი, მოთხოვნილი თანხის ოდენობა, **კლიენტის ანგარიში**, რომელზეც უნდა მოხდეს მოთხოვნილი თანხის ჩარიცხვა და მოთხოვნის დანიშნულება (**კლიენტის** მიერ მითითების შემთხვევაში). **კლიენტი** თანახმაა, ასეთი ინფორმაცია **ბანკის** არაკლიენტ **მესამე პირს** მიეწოდოს **კლიენტის** მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ხოლო თუ **მესამე პირი** არის **ბანკის** სხვა კლიენტი, ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები **მესამე პირს** მიეწოდება მის **ფინანსურ ნომერზე** ან PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით. ამასთან, **ბანკი** იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, **კლიენტის** მიერ **მესამე პირის/მისი** საკონტაქტო ინფორმაციის არასწორად მითითების გამო ან/და ნებისმიერი ისეთი შემთხვევის გამო, როდესაც **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით, გაგზავნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი სხვა **მესამე პირისთვის**.
17. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი სადებეტო **ბარათის** აქტივაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას სათანადო ფორმით გადაეცა შეკვეთილი **ბარათი** და რომ მან მიიღო **ბარათის PIN კოდი**.